კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	საჯარო მმართველობა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Public Adimistration
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	აკადემიური პროგრამა
სწავლების ენა	
	საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ და ინგლისურ ენებზე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
ინლისურად:	Bachelor of Public Administration
პროგრამის ხელმძღვანელი	თანახელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი, დოქტორი დავით ლოსაბერიძე საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი სერგი კაპანაძე
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. დასაშვები ხანგრძლივობა 5–6 წელი. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 19 (21–დასკვნითი გამოცდის გადაბარების შემთხვევაში) სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 (42) კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 კრ. საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ კრ. საათს). დამატებით

შესაძლებელია ზაფხულის 8 კვირიანი სემესტრის ორგანიზება, სადაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 15 ECTS კრედიტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	➢ საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ➢ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში. ➢ ეროვნულ გამოცდებზე უცხო ენად ინგლისური ენის ჩაბარება.

პროგრამის მიზანი	საქართველოში საჯარო სექტორის განვითარების, პოლიტიკური სისტემის სრულყოფის, ინსტიტუციური მშენებლობის, ეკონომიკური წინსვლის აუცილებლობა, ქვეყნის სწრაფვა ევროპულ და ჩრდილო–ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, აქტუალურს ხდის განათლებული, მაღალპროფესიული საჯარო მოხელეების ყოლას, რაც წინამდებარე პროგრამის მიზანს წარმოადგენს. თითოეული ქვეყანა ცდილობს ააშენოს დემოკრატიული, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა – გამჭვირვალე, საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებული მთავრობით, რომელიც დაეყრდნობა ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობის, კანონის უზენაესობის, საზოგადოების თითოეული წევრისთვის მაღალხარისხიანი მომსახურების მიწოდების, ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა საზოგადოებრივ მართვაში თანამონაწილეობის პრინციპებს. ყოველივე ამის საფუძველს წარმოადგენს ძველი ფასეულობებისგან გათავისუფლება და მმართველობის ახალი სისტემებისა და თანამედროვე ადმინისტრაციული ინსტიტუტების ჩამოყალიბების რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი. ეს მნიშვნელოვანი მიზანი მოითხოვს ახალი თაობის სახელმწიფო მოხელეთა აღზრდას, რომელსაც ექნება ფართო ზოგადი განათლება და აღჭურვილი იქნება სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის თანამედროვე თეორიებით და საუკეთესო პრაქტიკით, სხვა ქვეყნების გამოცდილებით და მისი საქართველოს რეალობაში გადმოტანის მეთოდებით, ფართო ხედვის ჩამოყალიბებითა და მისი რეალიზების ცოდნითა და უნარ–ჩვევებით.
პროგრამის სწავლის შედეგი	❖ აქვს საჯარო მმართველობის სპეციალობისა და პოლიტიკური მეცნიერებების ძირითადი თეორიების ფართო ცოდნა. ❖ შეუძლია ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალება, გაცნობიერება, ცალკეული პრობლემის გადაჭრა; ❖ იცნობს საქართველოს სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკი განვითარების პროცესებს ; ❖ აქვს საჯარო მმართველობის, საჯარო პოლიტიკისა და მომიჯნავე სფეროების (კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სამართლის, ეკონომიკის,სახელმწიფო ნიუჯეტისა და ფინანსების) ძირითადი საბაზისო

	ცოდნა; ❖ იცის მენეჯმენტის საფუძვლები, ორგანიზაციული თეორიები და იცნობს მათი პრაქტიკაში ასახვის მაგალითებს; ❖ აქვს მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარების, თანამედროვე მსოფლიოში მზარდი ურთიერთდამოკიდებულებების წარმომქმნელი პროცესების და დამოუკიდებელ ელემენტთა სტიქიურობისა და მათი მართვის პრობლემების ცოდნა; ❖ აქვს ევროკავშირის ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების ცოდნა; ❖ იცის საქართველოს როგორც პატარა სახელმწიფოს მნიშვნელობა და ადგილი თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში.
დასაქმების სფეროები	პროგრამის კურსდამთავრებულს (საჯარო მმართველობის ბაკალავრს) აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა დასაქმდეს ხელისუფლების სამივე შტოში, არასამთავრობო სექტორში, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციებში, განსაკუთრებით იმ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ურთიერთობასთან.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.
განვლილი სასწავლო კურსის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ათვისება შეფასებული იქნება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული მეთოდების წილისგან შედგება.
სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მიმდინარე შეფასებებს;
- დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

(A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91%-100%
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81% – 90%.
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71% – 80 %.
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61% – 70%.
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51% – 60%.

თუ სტუდენტმა ვერ დააგროვა დადებითი შეფასებისთვის საკმარისი ქულათა ჯამი, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ქულები შეადგენს ან აღემატება მაქსიმალური შეფასების 41%-ს, მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები შეფასების მიღება ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (**collaborative**) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (**Case study**) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი,

ელექტრონული სწავლების (**learning**) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერითი (ტესტი, ღია კითხვები, ესსე, შემთხვევის გარჩევა და ა.შ) გამოკითხვა. აუცილებელი მოთხოვნაა საშინაო დავალების მომზადება და მისი პრეზენტაცია. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების კომპონენტები მითითებულია თითოეული კურსის სილაბუსში და მიმართულია იმავე სილაბუსში მითითებული სწავლის შედეგების (კომპეტენციების) შემოწმებისკენ, სახელდობრ: აქტიურობის კომპონენტი ასახავს სასემინარო დისკუსიებში სტუდენტის მონაწილეობის სიხშირესა და ხარისხს; პრეზენტაციის კომპონენტის ფარგლებში ფასდება საკითხის ცოდნა, კრიტიკული ანალიზის უნარი, ინტერაქტიულობა და ვიზუალიზაციის ხერხების გამოყენების უნარი; რეფერატის კომპონენტით მოწმდება მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციის ცოდნა და მისი გადმოცემის უნარი; ტესტის კომპონენტით ფასდება კონკრეტული საკითხების ცოდნა და სხვა

პროგრამის სასწავლო კურსები

სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის აღწერა	სავალდებულო/ არჩევითი	ECTS კრედიტი	სწავლების სემესტრი
	მოდული **ზოგადსაუნივერსიტეტო საგნები**		**20**	
საინფორმაციო ტექნოლოგიები, I ნაწ **CIS 1150**	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტი დაეუფლოს ინფორმატიკის საფუძვლებს, ინფორმაციის დამუშავებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების და სისტემების გამოყენების თავისებურებებსა და მომავალ პროფესიულ საქმიანობაში ინფორმაციული სისტემების გამოყენების პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს. კურსი ორიენტირებულია პრაქტიკულ შედეგზე და მოიცავს შემდეგ თემებს: ინფორმაცია, ინფორმაციის საზომი ერთეულები, კომპიუტერის არქიტექტურა, ოპერაციული სისტემა, ინტერნეტ-ტექნოლოგიები, საოფისე პროგრამები.	სავალდებულო	5	I
საინფორმაციო ტექნოლოგიები, II ნაწ **CIS 1250**	კურსის მიზანია სტუდენტმა Microsoft Excel-ისა და MS Access-ის გამოყენებით შესძლოს მონაცემების დამუშავება, მართვა, ანალიზი და ვიზუალური წარმოდგენა.	სავალდებულო	5	I
საქართველოს ისტორია **HIST 0003**	ემსახურება სტუდენტებისათვის კვალიფიციური ცოდნის მიცემა საქართველოს ისტორიაში. სალექციო კურსი აგებულია ქრონოლოგიურ-თემატური პრინციპით. კურსი ეყრდნობა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მრავალფეროვან ინფორმაციას.	სავალდებულო	5	I
აკადემიური წერა **AW 3250**	საგნის მიზანია განუვითაროს სტუდენტებს კვლევისა და წერის უნარ–ჩვევები. აკადემიური წერა არის ინტერდისციპლინარული, წერითი და კვლევითი ინტენსიური კურსი, რომლის მიმდინარეობისას სტუდენტები გაიუმჯობესებენ ინგლისურად მეტყველებისა და წერით უნარებს, ჩამოუყალიბდებათ საკონტრაქტო და კვლევითი დოკუმენტაციის ორგანიზებულად და გონივრულად გაფორმების უნარი მაღალ პროფესიულ დონეზე. შესაფასებელი დავალების უმეტესი ნაწილი შესრულდება დამოუკიდებლად.	სავალდებულო	5	III
	მოდული **ინგლისური ენა**		**20**	
B1.0 ზოგადი ინგლისური **ENGL 0005**	მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკული კურსს. ეს სემესტრი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი პროფესიული აქტივობისათვის საჭირო სპეციფიურ მოთხოვნებზე	სავალდებულო	5	I-III

	იქნება ორიენტირებული.			
B1 ზოგადი ინგლისური ENGL 0006	მოცემული სალექციო კურსი ქმნის საფუძველს რიგი კომპეტენციების შესაძენად, რომლებიც მომავალი სპეციალისტის პროფესიული აქტივობისთვის საჭირო ენობრივ მოთხოვნებზე იქნება ორიენტირებული. მოცემული სალექციო კურსი პირველი სემესტრის სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და მისი წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს **B1 დონის** დამადასტურებელი სერთიფიკატი.	სავალდებულო	5	II-IV
B2.0 ზოგადი ინგლისური ENGL 0007	მოცემული სალექციო კურსი ახდენს ერთის მხრივ, რეცეპტიული (კითხვა, მოსმენა) უნარ ჩვევის დახვეწაზე და, მეორე მხრივ, ლექსიკური მარაგის გაფართოებას, რაც კურსდამთავდებულს საშუალებას მისცემს გაიგოს და დამოუკიდებლად შეიმუშავოს კომპლექსური ტექსტები.	სავალდებულო	5	I-III
B2 ზოგადი ინგლისური ENGL 0008	კურსი ორიენტირებულია ყველა იმ ენობრივი უნარ-ჩვევის დახვეწა-გაღრმავებაზე, რომელიც კურსდამთავრებულს ინგლისურენოვან გარემოში/ ინგლისური ენის მატარებლებთან სპონტანური და შეუფერხებელი კომუნიკაციის/დისკუსიის საშუალებას მისცემს. კურსდამთავრებულს ექნება აუცილებელი ენობრივი ცოდნა **B2 დონის** (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) სასერტიფიკატო გამოცდის ჩასაბარებლად.	სავალდებულო	5	II-IV
B2,0 ზოგადი ინგლისური ENGL 0009	კურსის მიზანია ენობრივი უნარ-ჩვევების შემდგომი გაღრმავება და ინგლისურ ენაზე შეუფერხებელი წერისა და კომუნიკაციის უნარის სრულყოფა.	სავალდებულო	5	III
C1 ზოგადი ინგლისური ENGL 0010	სალექციო კურსი წინა სალექციო კურსების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და შემდგომი სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისათვის რომ აიღოს **C 1 დონის** დამადასტურებელი სერტიფიკატი.	სავალდებულო	5	IV
მოდული მეორე უცხო ენა			**20**	
უცხო ენა (A1.0) FREN 0001, SPAN 0001, GERM 0001, RUS 0001, TURK 0001	კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები.	სავალდებულო	5	V
უცხო ენა (A1) FREN 0002, SPAN 0002, GERM 0002, RUS 0002, TURK 0002	კურსის მიზანია განუვითაროს სტუდენტს წერის, კითხვის, მოსმენის და საუბრის ჩვევები.	სავალდებულო	5	VI
უცხო ენა (A2.0) FREN 0003, SPAN 0003, GERM 0003, RUS 0003, TURK 0003	კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას.	სავალდებულო	5	VII

	სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორიცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია.			
უცხო ენა (A2) FREN 0004, SPAN 0004, GERM 0004, RUS 0004, TURK 0004	კურსის თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც სტუდენტებს მისცემს ინტერკულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისა და კომუნიკაციის საშუალებას. სტუდენტები სწავლობენ ისეთ თემებს, როგორიცაა: პირადი და პროფესიული ცხოვრება, მოგზაურობა, კულტურა და მედია. კურსი გულისხმობს მარტივი ლიტერატურული, ოფიციალური ტექსტების, საგაზეთო სტატიების კითხვას; აზრის წერილობით გადმოცემის უნარის ჩამოყალიბებას. კურსით გათვალისწინებული სიტუაციური, ინტერაქტიური თამაშები და პრეზენტაციები კი ხელს უწყობს სტუდენტების არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებას.	სავალდებულო	5	VIII
	მოდული დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნები		**120**	
რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები QUAM 1150	რაოდენობრივი ანალიზის კურსის მიზანია მისცეს სტუდენტს მათემატიკური მსჯელობისა და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდების ცოდნა, დაეხმაროს მას ყოველდღიურ ცხოვრებაში და მომავალ საქმიანობაში რაოდენობრივი ანალიზის გამოყენებაში.	სავალდებულო	5	I
დემოკრატია და მოქალაქეობა DEC 1150	კურსი ითვალისწინებს დემოკრატიის ძირითადი ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და მოქლაქეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ სტუდენტის ცოდნის ფორმირებას, უნარების განვითარებას და განწყობილებების ჩამოყალიბებას.	სავალდებულო	5	I
კულტურა და ცივილიზაცია CIVI 1150	კურსი სტუდენტებს აცნობს კულტურისა და ცივილიზაციის არსს, გაიაზრებს და წარმოაჩენს მათ შესწავლასთან დაკავშირებულ პრობლემებს, აანალიზებს მათი განვითარების ეტაპებს, კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებას უძველესი დროიდან დღემდე.	სავალდებულო	5	I
თანამედროვე აზროვნების საფუძვლები PHIL 1150	კურსის მიზანია მომავალ საჯარო მოხელეს განუვითაროს კრიტიკული აზროვნების უნარი და გააცნოს დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის განვითარების და მსოფლიო გლობალური პროცესების დროში უბერებელი იდეები. კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ ფუნდამენტური, პროფესიული საკითხების მიმართ მართებული და ღირსეული დამოკიდებულება.	სავალდებულო	5	I
შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში POLS 1250	სასწავლო კურსი ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდებას თანამედროვე პოლიტიკისა და პოლიტოლოგიის პრობლემების შესახებ. კურსი მიმოიხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პოლიტიკისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების რაობა, სისტემები და რეჟიმები, პოლიტიკური იდეოლოგიები, სახელმწიფო და	სავალდებულო	5	II

	სახელმწიფოს მართვის მექანიზმები, პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მონაწილეობა და არჩევნები. კურსი ასევე ითვალისწინებს ცოდნის მიცემას საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის წესრიგისა და გლობალიზაციის დინამიკის შესახებ.			
სტატისტიკური ანალიზის მეთოდები **STAT 1250**	კურსი მოიცავს საფუძვლიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეგროვდეს სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები, როგორ უნდა მოხდეს მათი პირველადი დამუშავება და ინტერპრეტაცია, მონაცემების გააზრება, ანალიზი და ამ ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	სავალდებულო	5	II
ზეპირი და წერითი კომუნიკაციები **COM 1250**	კურსი ემყარება საჯარო მოხელეთა ზეპირ გამოსვლებში, წერილობით დოკუმენტებსა და მასმედიის ენაში გამოვლენილი ნორმატიული ხასიათის ტიპობრივი დარღვევებისა თუ სტილისტიკური უზუსტობების ანალიზს.	სავალდებულო	5	II
შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში **IR 2150**	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ფართო თეორიული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის, პრინციპების, საერთაშორისო ურთიერთობათა კლასიკური თეორიების, საგარეო პოლიტიკის ცნობილი მეცნიერების კონცეფციების (როგორიცაა მორგენთაუ, ჯორჯ კენანი, ჰენრი კისინჯერი, კარლ ჰაუსჰოფერი, ჯონ მაკინდერი) თაობაზე.	სავალდებულო	5	III
შესავალი სახელმწიფო მართვაში **PA 2150**	კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სახელმწიფო მართვის ძირითადი პრინციპები საერთაშორისო და საქართველოს მაგალითზე, გააცნოს სახელმწიფო მართვის ბუნება, ის შეზღუდვები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგანან საჯარო მოხელეები თანამედროვე პირობებში.	სავალდებულო	5	III
სამართლის საფუძვლები **LAW 2150**	სტუდენტები გაეცნობიან, თუ როგორ და რა მეთოდებით ხდება სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირება, რა უფლება-მოვალეობები გააჩნია მას, როგორც მოქალაქეს და რა როლს ასრულებს თითოეული მათგანი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. კურსში განხილულია სამართლის კარდინალური საკითხები და სამართლის ის ძირითადი დარგები, რომელთა შესახებ ელემენტარული ცოდნა სახელმწიფო მართვის განმახორციელებელი ნებისმიერი სუბიექტისთვის სავალდებულო და აუცილებელია.	სავალდებულო	5	III
კვლევის მეთოდები **QQDA 2150**	კურსის მიზანია საბაზისო კვლევითი კომპეტენციების განვითარება - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში გამოყენებული კვლევის თანამედროვე თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები.	სავალდებულო	5	III
შესავალი ეკონომიკაში **ECON 2150**	კურსი მოიცავს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლებს, მიკრო და მაკროეკონომიკურ თეორიებს, ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლებს.	სავალდებულო	5	III
შესავალი შედარებით პოლიტიკაში	სასწავლო კურსი ითვალისწინებს პოლიტიკური მეცნიერების ფუნდამენტალური ცნებებისა და კატეგორიების გაცნობას. კურსი განიხილავს	სავალდებულო	5	IV

COMP 2250	შედარებითი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს; ლიბერალური დემოკრატიების შედარებით პოლიტიკას; შედარებით საჯარო პოლიტიკას; ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესს; გლობალიზაციის გავლენას სახელმწიფოების შიდა პოლიტიკაზე.			
ადამიანის უფლებები და დემოკრატია, HRD 2250	აღნიშნული კურსის მიზანს წარმოადგენს სტუდენტისათვის ღრმა ცოდნის მიცემა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და უფლებათა დაცვის მექანიზმების შესახებ; ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და დაცვის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებები. საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელობისა და გავლენის შესწავლა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. კურსის გავლის შედეგად, სტუდენტს მიეცემა მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა.	სავალდებულო	5	IV
კონსტიტუციური სამართალი, LAW 2255	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს თეორიული ცოდნა ქართული კონსტიტუციური სამართლის შესახებ, ქართული კონსტიტუციური აზროვნებისა და კონსტიტუციონალიზმის წარმოშობის, საქართველოს სახელმწიფო მოწყობის კონსტიტუციური პრინციპების, სახელმწიფო ხელისუფლების შტოების, ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითადი ასპექტების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის დებულებებისა და მისი მეცნიერული განზოგადების საფუძველზე შემუშავებული უმნიშვნელოვანესი ცნებებისა და პრინციპების შესახებ. სასწავლო კურსის მიზანია გამოუმუშაოს სტუდენტს სამართლებრივი უნარ-ჩვევები, სამართლებრივი ლოგიკა და არგუმენტაცია, აგრეთვე სამართლებრივი წერის კულტურა.	სავალდებულო	5	IV
საჯარო ფინანსების საფუძვლები, FIN 2250	სასწავლო კურსი ორიენტირებულია სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირების ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლაზე, როგორიცაა: სახელმწიფო ფინანსების არსი და მისი ფუნქციები, სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა სახელმწიფო ფინანსების მართვაში, სახელმწიფოს საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკა, არსებული საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემები, სახელმწიფო ფინანსების კონტროლთან, ფისკალურ დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, სახელლმწიფო ვალის და საბიუჯეტო დეფიციტის მართვა.	სავალდებულო	5	IV
საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი, MGT 2250	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები საერთაშორისო და საქართველოს მაგალითზე. კურსის მსვლელობისას სტუდენტები შეისწავლიან საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტის არსსა და საფუძვლებს, ორგანიზაციების მენეჯმენტის ისტორიასა და მენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციებს.	სავალდებულო	5	IV

პროფესიული სამიზნე ენა, ENGP 0150	ინგლისური ენის მოცემული სალექციო კურსი წარმოადგენს უცხო ენის პრაქტიკულ კურსს. ეს სემესტრი, ერთის მხრივ, ემსახურება გასული ეტაპების გავლის პერიოდში ჩამოყალიბებული პრაქტიკული თუ თეორიული უნარ-ჩვევების გამყარება-გაღრმავებას, მეორე მხრივ კი ქმნის საფუძველს ცოდნის გასაღრმავებლად არამარტო ევროპული უცხო ენის ფარგლებში, არამედ მთლიანი ევროპული სოციალურ-კულტურული გარემოს კონტექსტში. მოცემული სალექციო კურსი წინა სალექციო კურსის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და ორი შემდგომი სემესტრის წარმატებულად გავლის შედეგად კურსდამთავრებულს ექნება სათანადო ენობრივი კომპეტენცია, იმისთვის რომ აიღოს C 1 დონის (შეფასების ზოგადევროპული ერთიანი ჩარჩო) დამადასტურებელი სერტიფიკატი.	სავალდებულო	5	V
ადმინისტრაციული სამართალი, LAW 2254	მოცემული კურსის სასწავლო პროგრამა მიზნად ისახავს ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტს მისცეს საჭირო ცოდნა ზოგად ადმინისტრაციული სამართლში შემავალი ძირითადი დებულებებისა და ინსტიტუტების შესახებ, ასწავლოს სტუდენტს მიღებული ცოდნის გაანალიზების საფუძველზე ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების მეთოდები და ამ მეთოდების პოზიტიური და ნეგატიური სამართლებრივი შედეგების თაობაზე მსჯელობა; საკუთარი სამართლებრივი პოზიციის გამოხატვა და დასაბუთება.	სავალდებულო	5	V
პერსონალის მართვა საჯარო სექტორში, PMAN 3150	სასწავლო კურსში განხილულია საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის როლი და მნიშვნელობა. არსებული თავისებურებები, მიმდინარე ტენდენციები. თანამედროვე პერსონალის მართვის სისტემის შემადგენელი კომპონენტები. პერსონალის მართვის თანამედროვე მექანიზმები და შესაძლებლობები.	სავალდებულო	5	V
ლიდერობა და ეთიკა მთავრობაში, LDR 3250	კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სახელმწიფო მართვის ძირითადი პრინციპები საერთაშორისო და საქართველოს მაგალითზე. ასევე, სტუდენტები გაეცნობიან იმ შეზღუდვებსა და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგანან საჯარო მოხელეები თანამედროვე პირობებში.	სავალდებულო	5	VI
სახელმწიფო ბიუჯეტირების საფუძვლები, PBUG 3250	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ბიუჯეტის შედგენის საფუძვლები და პრინციპები.	სავალდებულო	5	V
სტრატეგიული სწავლებები, STST 4150	კურსში მოცემულია სტრატეგიული აზროვნების განვითარების ევოლუციის საკმაოდ დეტალური სურათი, აღწერილია სტრატეგიის თანამედროვე სწავლებანი და 21-ე საუკუნეში სტრატეგიული დაგეგმვისა, სრატეგიული მართვის თეორიები და საუკეთესო პრაქტიკა, მეთოდიკა და ინსრუმენტები სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის.	სავალდებულო	5	VII
ელექტრონული მმართველობა, EGOV 0050	კურსში მოცემულია ელექტრონული მმართელობის განვითარების ისტორია საქართველოში და მსოფლიოს რამდენიმე წარმატებულ ქვეყანაში, აღწერილია	სავალდებულო	5	VII-VIII

	სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და საუკეთესო პრაქტიკა.			
	დარგობრივი და პროფესიული არჩევითი საგნები		**60**	
შედარებით სახელმწიფო მართვა, CPA 0050	კურსის მიზანია სახელმწიფო მართვის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა შედარებით კონტექსტში. კურსი შეიცავს ცნებებს სახელმწიფო მართვის, საჯარო პოლიტიკის, შედარებითი პოლიტიკის და განვითარების კვლევების აკადემიური სფეროებიდან.	არჩევითი	5	V-VI
მართვის სოციოლოგია, MS 0050	კურსი ითვალისწინებს მართვის (მართველობითი) სოციოლოგიის, მენეჯმენტის სოციოლოგიის შესწავლას. კურსის ფარგლებში სდტუდენტები შეისწავლიან სამართავი მოქმედების ძირითადი პრინციპების გამოყენების თეორიასა და პრაქტიკას, რაც თანაფარდობაშია ცალკეული პიროვნებების, სოციალური ჯგუფების სოციალური ურთიერთობების თავისებურებებთან საზოგადოების ერთიან სისტემაში და მის ქვესისტემებში, სოციალური ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპებში.	არჩევითი	5	V-VI
ბიზნეს კომუნიკაციები,BCOM 0050	კურსის მიზანია მსმენელებს გამოუმუშაოს და განუვითაროს საქმიან და აკადემიურ გარემოში ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარ–ჩვევები. იგი დაეხმარება მომავალ საქმიან ადამიანებს მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც ხელს შეუწყობს ეფექტური ბიზნეს–კომუნიკაციების დამყარებაში. აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ, მსმენელს გამოუმუშვადება უნარ–ჩვევები, რომლის საშუალებითაც ისინი ადვილად დაამყარებენ პარტნიორულ თუ კომერციულ ურთიერთობებს.	არჩევითი	5	V-VI
საზოგადოებასთან ურთიერთობა, PR 0050	აღნიშნული კურსის მიზანია სტუდენტების მისცეს სწორი საფუძველი საზოგადოებასთან ურთიერთობებზე, როგორც დღევანდელი მსოფლიოში ისე საქართველოშიც უკვე კარგად განვითარებულ დარგზე.	არჩევითი	5	V-VI
საქართველოს სახელმწიფო მართვა და საჯარო სექტორის რეფორმები, GPAR 0050	კურსი განიხილავს სახელმწიფო მართვის სისტემას, რომელიც საბჭოთა კავშირის ნგრევისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩამოყალიბდა საქართველოში. მიმოიხილავს თუ რა წარმატებები და წარუმატებლობები განიცადა ამ სირთულეებით აღსავსე პერიოდში საქართველომ, რა გამოცდილება მიიღო ქვეყანამ და რა პერსპექტივები არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტების შემდგომი მშენებლობისა და განვითარებისთვის.	არჩევითი	5	VII-VIII
ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება, LED 0050	მოცემული კურსი ფოკუსირებას ახდენს ურბანული ეკონომიკური განვითარების პოლიტიკასა და პოლიტიკის შექმნასთან. იგი ახასიათებს არა მარტო იმ პოლიტიკას, რომელსაც ადგილობრივი მთავრობები ახორციელებენ ეკონომიკური ბაზისის შექმნის, მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით, არამედ	არჩევითი	5	V-VI

	აანალიზებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კონტექსტს, რომელშიც ეკონომიკური განვითარება ხდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვას, სტრატეგიებსა და მექანიზმებს			
პროექტის მართვა, MGS 0050	კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს პროექტის ინიცირების, დაგეგმვის მეთოდები და დაეხმაროს პროექტის მართვის უნარების განვითარებაში.	არჩევითი	5	VII-VIII
საერთაშორისო ორგანიზაციები, IO 0050	სასწავლო კურსის მიზანია მსოფლიოში არსებულ წამყვანი გლობალური და რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციებზე ცოდნის მიღება. განხილული იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემა და სტრუქტურა, მათი როლი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, უფლებამოსილებანი და ფუნქციები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, გამოწვევები და მიღწევები.	არჩევითი	5	V-VI
საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა,GFDP 3250	სასწავლო კურსში განხილულია საერთაშორისო პოლიტიკური და უსაფრთხოების სისტემის თავისებურებები, მიმდინარე ტენდენციები საქართველოსთან მიმართებაში. საქართველოს საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტეული მიმართულებები, კონცეპტუალური ბაზა, მიმდინარე პროცესები და არსებული გამოწვევები.	არჩევითი	5	VI
შედარებით საგარეო პოლიტიკა, CFP 0050	საგანი მიმოიხილავს სხვადასხვა სიდიდის, ძალისა და გავლენის მქონე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საგარეო პოლიტიკას მათ საშინაო პოლიტიკასთან მიმართებაში.	არჩევითი	5	V-VI
ამერიკის საგარეო პოლიტიკა, USFP 4150	კურსი შეისწავლის ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფორმირების საფუძვლებს და პრაქტიკას. ასევე საგარეო და საშინაო პოლიტიკის ურთიერთკავშირს ამერიკის სახელმწიფოებრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ისტორიას.	არჩევითი	5	VII-VIII
ევროკავშირის მმართველობა და საგარეო პოლიტიკა, EUGP 0050	სასწავლო კურსი შეეხება ევროკავშირის ინსტიტუტებს, ისტორიასა და პოლიტიკას, ისევე როგორც ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და შეთანხმებებს. კურსის მიმდინარეობისას მოხდება ევროკავშირის ახალი პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების ანალიზი, ასევე განიხილება გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროკომისიაში, ევროსაბჭოსა და ევროპის პარლამენტში.	არჩევითი	5	V-VI
ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა, MEAS 0050	ახლო (ახლო და შუა) აღმოსავლეთი, როგორც რეგიონი და მისი გავლენა მსოფლიო წესრიგზე. რეგიონის გეოგრაფიული და პოლიტიკური დეფინიცია, მისი ჩამოყალიბების ისტორია (პირველი მსოფლიო ომის შედეგები-ოსმალეთის იმპერიის დაშლა).	არჩევითი	5	V-VI
რუსეთის საგარეო პოლიტიკა, RUFP 0050	სასწავლო კურსით სტუდენტი შეისწავლის ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობა, მისი სპეციფიკა და მისი საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები.	არჩევითი	5	V-VI

სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკა, GEOP 4250	განსახილველი საკითხები მოიცავს რეგიონის იდენტურობას, მისი მოდერნიზაციისა და განვითარების, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის, ლიბერალიზაციისა და დემოკრატიული განვითარების საკითხებს.	არჩევითი	5	VIII
შესავალი სოციოლოგიაში,SOCI 0050	კურსი ითვალისწინებს სოციოლოგიის, როგორც განმაზოგადებელი სოციალური მეცნიერების ფუნდამენტალური ცნებებისა და კატეგორიების გაცნობას, სოციოლოგიის კლასიფიაკციების შესწავლას მოცემულ კურსში სტუდენტები გაეცნობიან სოციოლოგიის არსს, როგორც საზოგადოებრივ (სოციალური) ურთიერთობების შემსწავლელ მეცნიერებას, შეისწავლიან სოციიოლოგიის კლასიფიკაციებს, ემპირიული და თეორიული სოციოლოგიის საფუძვლებს. კურსი აგებულია ძირითადი სოციოლოგიური პარადიგმების არსებული სოციალური რეალობის მიმართ აპლიკაციის პრინციპზე.	არჩევითი	5	V-VI
სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების ადმინისტრირება, PPPA 0050	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს საქართველოს სახელმწიფო მართვის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები, ის მასალა, რომელიც დაგროვდა სახელმწიფო მართვის თვალსაზრისით დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ვიდრე თანამედროვე პერიოდამდე. სტუდენტები გაეცნობიან საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებს, გატარებულ და მიმდინარე რეფორმებს. ყურადება გამახვილდება იმ პრობლემებზე და გამოწვევებზე, რომელიც დგას დღეისათვის ქართული სახელმწიფოსა და მისი აპარატის წინაშე. გაანალიზებენ სახელმწიფო მართვა ვიწრო და ფართე გაგებით, ასევე დაინახავენ იმ წყალგამყოფს, რომელიც არსებობს სახელმწიფო მართვისა და ზოგადად საჯარო მმართველობის წინაშე.	არჩევითი	5	V-VI
გლობალიზაცია და რეგიონალიზმი, GLOB 0050	სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიებსა და თანამედროვე ტენდენციებს, განსაკუთრებით გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის კონტექსტში, ასევე უქმნის მათ წარმოდგენას საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი პრაქტიკული საკითხების შესახებ ისტორიული და ამჟამინდელი ემპირიული მაგალითების საფუძველზე.	არჩევითი	5	VII-VIII
კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებები, CONN 0050	კურსი მოიცავს ისეთი თემების მიმოხილვას, რომლებიც მიეკუთვნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ დისციპლინას. მათ შორისაა საერთაშორისო ურთიერთობები, მშვიდობისა და კონფლიქტების შესწავლა, სოციალური მეცნიერებები, რომლებიც შეისწავლის კონფლიქტების მართვასა და უსაფრთხოებას ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.	არჩევითი	5	VII-VIII
შესავალი საჯარო პოლიტიკაში,PPA 0050	კურსის განმავლობაში სტუდენტები შეისწავლიან საჯარო პოლიტიკის საფუძვლებს და ანალიზის მეთოდებს. ისინი გაეცნობიან, არამარტო თეორიეულ ჩარჩოს, არამედ პრაქტიკულ ინსტუმენტებსაც, რომლებიც საჭიროა საჯარო პოლიტკის შესწავლის და ანალიზის პროცესში.	არჩევითი	5	V-VI

საარჩევნო სისტემები და პოლიტიკური პარტიები, POLS 0050	სასწავლო კურსი ითვალისწინებს სტუდენტებს გააცნოს პოლიტიკური პარტიების რაობა, პარტიების ტიპების, ფუნქციების, პარტიული სისტემების, პოლიტიკური წარმომადგენლობის ძირითადი ინსტიტუტები და მათი როლი თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე არჩევნები, საარჩევნო სისტემებისა და საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები.	არჩევითი	5	VII-VIII
ორგანიზაციული ქცევა, OB 0050	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს: ორგანიზაციების ეფექტურად მართვის პრინციპები; ორგანიზაცული ქცევის სისტემები; ორგანიზაციაში არსებული გამოწვევების და საკითხების გაცნობიერება, მათი წარმატებულად გადაჭრის მიზნით; თანამშრომლების მოტივაციის გზები, სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, ეფექტური გუნდის ჩამოყალიბება, მართვის კომპეტენციების შეფასება და ა.შ.	არჩევითი	5	VII-VIII
კულტურათშორისი კომუნიკაციები, ICOM 0050	კურსის ამოცანას შეადგენს სტუდენტებს გააცნოს კულტურათაშორისი კომუნიკაციის საფუძვლები, მსოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობების ისტორია და მასთან დაკავშირებული საკითხები.	არჩევითი	5	VII-VIII
ნაციონალიზმი–თეორია და ისტორია, NTH 0050	კურსი ითვალისწინებს ნაციონალიზმის თეორიის ძირითადი საკითხებისა და მისი განვითარების ისტორიული ეტაპების შესახებ სტუდენტის ცოდნის ფორმირებას, უნარების განვითარებას და განწყობილებების ჩამოყალიბებას.	არჩევითი	5	VII-VIII
საერთაშორისო ტერორიზმი, IT 0050	სასწავლო კურსში განხილულია ტერორიზმის წარმოშობა და ტერორის მეთოდები, ხერხები, სახეები, ფორმები; ინდივიდუალური და მასობრივი ტერორის წარმოშობის მიზეზები; საერთაშორისო ტერორიზმის განვითარების ეტაპები; თანამედროვე ,,ტერორისტული ომები“ და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ტერორის წარმოების სტრატეგიის და ტაქტიკის ძირითადი მიმართულებები.	არჩევითი	5	VII-VIII
პოლიტიკური კონფლიქტი, PC 0050	სასწავლო კურსის მიზანია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის კონფლიქტოლოგიის საგანის და ამოცანების, პოლიტიკური კონფლიქტების დინამიკის, მოგვარების და რეგულაციის გზების, ასევე პოლიტიკური კონფლიქტების მართვის როლის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური საკითხების და პრობლემების გადაჭრაში თეორიული ცოდნის ფორმირება.	არჩევითი	5	VII-VIII
დემოკრატიზაცია, DEMO 0050	სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს პოლიტიკური სისტემების ტიპები, სისტემური ტრანსფორამციის /დემოკრატიზაციის თეორიები და დემოკრატიზაციის პროცესში ჩართული ქვეყნების პოლიტიკური განვითარების ეტაპები. ასევე კურსი მიზნად ისახავს პოლიტიკური ტრანსფორმაციის /დემოკრატიზაციის ცნებებისა და ძირითადი კატეგორიების, მათი ურთიერთკავშირის შესწავლას.	არჩევითი	5	VII-VIII

პოლიტიკური მეცნიერებების ძირითადი წყაროები, BSPS 0050	სასწავლო კურსი შეეხება პოლიტიკის მეცნიერების ძირითად ავტორებს და თემებს. კურსის მანძილზე გავეცნობით პოლიტიკის მეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან ავტორებს: რობერტ დალს, ჩარლზ ტილის, თედა სქოჩპოლს, რობერტ პატნემს, სეიმურ ლიპსეტს, ერიკ ოლინ ვრაიტს და სხვ. ზემოთხსენებული ავტორები წარმოადგენენ პოლიტიკის მეცნიერების კლასიკურ ავტორებს და სწორედ მათი ძირითადი ნაშრომების გაცნობით, შევეცდებით პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი თემების მიმოხილვას; კურსის მანძილზე გავეცნობით თანამედროვე კლასიკურ ნაშრომებსაც და თანამედროვეობის აქტუალურ კვლევებს (მაგალითად, კაროტერსის მიერ „ტრანზიციის პარადიგმის“ კრიტიკას, ან ჯილენსის და პეიჯის გახმაურებულ უახლოეს კვლევას ამერიკულ დემოკრატიაზე).	არჩევითი	5	VII-VIII
საუბრები საჯარო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, PFPD 0050	კურსის მიზანია სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემა და გამოცდილების გამომუშავება, რის შედეგადაც ისინი გაიაზრებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში ინდივიდის როლს საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთქმედების, ადამიანის უფლებათა პრინციპებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჭრილში, გაეცნობიან ქვეყნის საგარეო პოლიტიკას გლობალური პროცესების ჭრილში.	არჩევითი	5	VII-VIII
არაბული გაზაფხული და ფერადი რევოლუციები, ASCR 0050	This course will study the most important cases of the democratic transitions from the history of the countries which have gone through the color revolutions and the Arab Spring. We will see which one of them have experienced relative success or complete failure and look into the political, geopolitical and socio-economic factors, which have influenced those outcomes.	არჩევითი	5	VII-VIII
თანამედროვე ეკონომიკური პროცესები და საქართველო, MEPG 0050	სასწავლო კურსი ორიენტირებულია ეკონომიკის ძირითადი კონცეფციებისა და პრინციპების დახასიათებაზე, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების საფუძველს შეადგენს. მისი სწავლება ემსახურება სახელმწიფო მართვის სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმისას დაემყარებიან საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენებას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტების მოზადებას, რომლებიც შეძლებენ ადვილად გაერკვნენ სახელმწიფო პოლიტიკის საფუძვლებში და გაანალიზონ სახელმწიფოს ეკონომიკური ქმედებები.	არჩევითი	5	VII-VIII
უსაფრთხოების სისტემების შედარებითი ანალიზი, CASS 0050	Global in scope, special attention will be placed first on policy and implementation Security Sector Reforms in the post-Soviet bloc (not only Post-Soviet Republics), and secondly on other authoritarian and post-authoritarian states, with the view of developing a future policy agenda for SSR as a means of transforming societies and nation-building.Another important facet of this course's design will be a comparative approach not only (as is most often done) between different developing and	არჩევითი	5	VII-VIII

	transitioning nations, but also with SSR in developed states. For instance the American concepts of "Zero Tolerance" and "Broken Windows" policing will be studied as it was implemented in the USA cities first, and only then how it's turning out in Georgian context; Japanese concept of "Koban" Community Policing as such, and then its application in Armenia; the US military and how it shaped nation building in Afghanistan and Iraq and so on.			
ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები, PSEC 0050	A survey of political systems, economy, society, and culture of the major European countries in a comparative perspective. Special emphasis is placed on common governance in Europe, and challenges facing the region in the era of globalization.	არჩევითი	5	VII-VIII
ორგანიზაციული და ჯგუფური კონფლიქტების მართვა, OGC 0050	სასწავლო კურსი საშუალებას აძლევს მომავალ მენეჯერებს დაეუფლონ კონფლიქტების ეფექტური მართვის, კოლაბორაციის და ფასილიტაციის ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელიც დაეხმარება მათ მომავალ საქმიანობაში მიაღწიონ დასახულ მიზნებს და სისტემურად მართონ კონფლიქტური სიტუაციები ინდივიდუალურ, ჯგუფურ და ორგანიზაციულ დონეზე. აღნიშნული კურსი სტუდენტებს სთავაზობს როგორც ექსპერიმენტულ ასევე კონცეპტუალური სწავლის მოდელს, რომლის საშუალებითაც კურსის მონაწილეები ეუფლებიან მენეჯერებისთვის და ლიდერებისთვის უმნიშვნელოვანეს უნარ-ჩვევებს.	არჩევითი	5	VII-VIII
საქართველოს განათლების სისტემა, GES 0050	ამ კურსის მიზანია, ზოგადი წარმოდგენა შექმნას განათლების პოლიტიკისა და განათლების სისტემის შესახებ საქართველოში. კურსი შეიქმნა მათთვის, ვისაც აინტერესებს, თუ რაში მდგომარეობს განათლების პოლიტიკა საქართველოში- როგორ, ვის მიერ, რა ფაქტორების გათვალისწინებით ხდება განათლების სფეროში გადაწყვეტილებების მიღება, რა ძირითად გადაწყვეტილებებსა და ხედვას ეყრდნობა განათლების სისტემის რეფორმები, როგორ ზემოქმედებს განათლების სისტემა ადამიანებზე და როგორ ზემოქმედებენ ადამიანები პოლიტიკაზე. ძირითადად ყურადღება გამახვილებულია განათლების სისტემაში მოქმედ ორგანიზაციებზე, მათ ფუნქციებსა და დანიშნულებაზე, განათლების სისტემის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომლობაზე.	არჩევითი	5	VII-VIII
გეოპოლიტიკა, GP 0050	This Bachelor course will introduce students to theories, concepts and themes about Geopolitics. After this courses the student should know what do we mean by Geopolitics and its different schools within it. S/he should be able to reproduce the theoretical knowledge, read, and think critically about texts and even reflect on his/her own understandings of Geopolitical issues. S/he should be able to analyze, and think critically, about geopolitical at different levels. In addition, the student, should be able to write a well-argumented and well-sourced paper, and successfully present it.	არჩევითი	5	VII-VIII

სამოხელეო სამართალი, LAW 0050	კურსი მოიცავს საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობას. საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობასა და კორუფციის შესახებ კანონს, სამართალდარღვევებს საჯარო სამსახურის სფეროში, სამოხელეო დანაშაულს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და მის მნიშვნელობას.	არჩევითი	5	VII-VIII
აფრიკის პოლიტიკა და კონფლიქტები, PCA 0050	სასწავლო კურსი წარმოადგენს აფრიკაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ შესავალ კურსს.	არჩევითი	5	VII-VIII
შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკა, PMEC 0050	კურსი მოიცავს შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შესწავლას. მიმოიხილავს აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, მათ როლსა და გავლენას მსოფლიო პოლიტიკაზე, როგორც რეგიონალური, ასევე გლობალური მასშტაბით.	არჩევითი	5	VII-VIII
მსოფლიო ეკონომიკა, WE 0050	კურსი ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკური განვითარებაში ძირითადი ტრენდებისა და ტენდენციების შესწავლასა და დახასიათებაზე.	არჩევითი	5	VII-VIII
შესავალი მშვიდობის კვლევებში - IPS 0050	კურსის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს მშვიდობის კვლევებთან დაკავშირებული თეორიები და მშვიდობის კონცეპტუალიზაცია. კურსის ფარგლებში განხილული იქნება კონფლიქტის და მშვიდობის ურთიერთმიმართება და კონფლიქტის და მშვიდობის გამომწვევი მიზეზები, როგორც საერთაშორისო, ისე სახელმწიფოს შიგნით და ინდივიდუალურ დონეზე.	არჩევითი	5	V-VIII
ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა - IPE 0050	კურსის მიზანია სტუდენტებისთვის ევროკავშირის ინსტიტუტების, პოლიტიკების, პროცესებისა და გადაწყვეტილების მიღების მიექანიზმების შესახებ ფუნდამენტური ცოდნის მიცემა. ამასთან, საგნის ფარგლებში საფუძვლიანად შეისწავლება საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიმდინარე ურთიერთობები. ასევე, განხილულ იქნება ევროკავშირში ინტეგრაციის სხვადსხვა ქვეყნების გამოცდილება, რაც ასევე იქნება გაანალიზებული საქართველო ევროკავშირის ურთიერთობების და სამომავლო პერსპექტივების ჭრილში.	არჩევითი	5	V-VIII